



## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება

12 / 07 2017 წ.

თბილისი

№ 364

საქართველოს საერთო სასამართლოებში ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობის თანდართული წესი.
2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატირულო პოლიციის დეპარტამენტის, იურიდიული დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს ამ ბრძანების დაქვემდებარებული მოსამსახურეებისათვის გაცნობა.
3. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 12 ივნისიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №10).

მინისტრი

გიორგი მღებრიშვილი



## დანართი

**საქართველოს საერთო სასამართლოებში ცალკეული ადმინისტრაციული  
სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
წარმომადგენლობის წესი**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 166-ე, 173-ე, 174<sup>1</sup> ან/და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს საერთო სასამართლოებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს და მათთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს, აგრეთვე სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა (შემდგომში - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი) და სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის (შემდგომში - იურიდიული დეპარტამენტი) კოორდინირებული თანამშრომლობის წესსა და პირობებს.
2. ეს წესი ვრცელდება იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომად გამოყენებულია ადმინისტრაციული დაკავება.
3. ამ წესის მოქმედება ასევე ვრცელდება იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომად გამოყენებულია ადმინისტრაციული დაკავება.
4. ამ წესის მიზანია სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წინაშე ახალი გამოწვევების გათვალისწინებით მისი საქმიანობის ეფექტური ამაღლება, სამუშაო დროისა და ადამიანური რესურსის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემდებარე ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს საერთო სასამართლოებში სამინისტროს ინტერესების დაცვა და ამ მიზნით დასაბუთებული პოზიციის წარდგენის უზრუნველყოფა.

## **მუხლი 2. იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოში არსებული სამუშაო ჯგუფი**

1. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის ხელშეწყობის, ცალკეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოში არსებობს სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – სამუშაო ჯგუფი), რომელსაც შეიძლება ხელმძღვანელობდეს ჯგუფის უფროსი.
2. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია სამუშაო ჯგუფის უფროსისა (არსებობის შემთხვევაში) და იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის წინაშე.
3. სამუშაო ჯგუფის მოსამსახურეები ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებენ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მიერ განსაზღვრული სამუშაო გრაფიკის შესაბამისად.
4. სამუშაო ჯგუფის უფროსი (არსებობის შემთხვევაში) ან იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ დაკავებაზე უფლებამოსილი პირის (შემდგომში – დამკავებელი) მხრიდან დაკავშირების შემდეგ უზრუნველყოფს ჯგუფის მოსამსახურეებს შორის დავალების განაწილებას და მათთვის შესაბამისი მითითების მიცემას.

## **მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

სამუშაო ჯგუფის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის სამართლებრივი აქტები და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები.

## **მუხლი 4. იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის კომპეტენცია**

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და კოორდინირებული თანამშრომლობის მიზნით დირექტორი:

- ა) ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს სამუშაო ჯგუფზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას;
- ბ) მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს სამუშაო ჯგუფის მოსამსახურეებს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით;

- გ) სამუშაო ჯგუფის მოსამსახურეებს ამლევს შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;
- დ) საჭიროების გათვალისწინებით ადგენს სამუშაო ჯგუფის საქმიანობის გრაფიკს (ცვლის შესაბამისად) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან შეთანხმებით;
- ე) პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზის საფუძველზე კურატორ მინისტრის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;
- ვ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### **მუხლი 5. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის კომპეტენცია**

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტის კოორდინირებული თანამშრომლობის მიზნით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი:

- ა) ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს მორიგე პატრულ-ინსპექტორთა მიერ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას;
- ბ) მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს პატრულ-ინსპექტორებს საქმიანობის ეფექტურად წარმართვისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით;
- გ) უზრუნველყოფს ამ წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული მორიგე ჯგუფის/მორიგე ჯგუფების დაკომპლექტებას ორი პატრულ-ინსპექტორის შემადგენლობით, რომლებიც განახორციელებენ ადმინისტრაციულად დაკავებულ პირთა მეთვალყურეობას საქართველოს საერთო სასამართლოების ტერიტორიაზე;
- დ) ადგენს ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მორიგე ჯგუფის სამუშაო გრაფიკს (ცვლის შესაბამისად);
- ე) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

#### **მუხლი 6. სამუშაო ჯგუფის ამოცანა და უფლებამოსილებანი**

1. სამუშაო ჯგუფის ამოცანა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 166-ე, 173-ე, 174<sup>1</sup> და სხვა მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა და საქართველოს საერთო სასამართლოებში სამინისტროს ინტერესების დაცვა.
2. დაკისრებული ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილი მოსამსახურე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
  - ა) საჭიროებისამებრ, დამკავებლის მოთხოვნის შემთხვევაში ცხადდება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე და ესწრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მიმდინარეობას;

- ბ) დამკავებლისგან გამოითხოვს და ეცნობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და საქმის სხვა მასალას (მათ შორის, სამხრე ვიდეოკამერის ჩანაწერები) სასამართლოში საქმის განხილვამდე;
- გ) საჭიროების შემთხვევაში, განმარტებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით უკავშირდება დამკავებელ პირს მობილური ტელეფონის, რადიოკავშირის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით;
- დ) საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს მოწმის დაკითხვის ან/და სხვა მტკიცებულების წარდგენის მიზნით;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს საერთო სასამართლოებში სამინისტროს წარმომადგენლობისთვის საჭირო ღონისძიებებს.
3. სამუშაო ჯგუფი ამ წესით დაკისრებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
4. სამუშაო ჯგუფი ამ წესით დაკისრებულ უფლებამოსილებებს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების დროს ჩადენილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

## მუხლი 7. დამკავებლის უფლებამოსილებანი

დამკავებელი:

- ა) პირის ადმინისტრაციული დაკავებიდან გონივრულ ვადაში მობილური ტელეფონის, რადიოკავშირის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით უკავშირდება სამუშაო ჯგუფის უფროსს (არსებობის შემთხვევაში) ან/და სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილ მოსამსახურეს;
- ბ) უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილ მოსამსახურეს მოსთხოვოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე მისვლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გაცნობის მიზნით;
- გ) ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილი მოსამსახურის დამატებითი ინფორმირების მიზნით ადგენს შესაბამის დოკუმენტს (ახსნა-განმარტება/პატაკი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი; დამკავებელი აღნიშნულ დოკუმენტს ადასტურებს ხელმოწერით;
- დ) მიმართავს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფს სამხრე ვიდეოკამერაზე არსებული მონაცემების (არსებობის შემთხვევაში) ოპტიკურ მატარებელზე (CD დისკი) გადატანის მიზნით;

- ე) უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილი მოსამსახურისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის, CD დისკისა და სხვა მასალის (არსებობის შემთხვევაში) გადაცემას, რომელიც ადასტურებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს;
- ვ) 09:00-18:00 საათებში უზრუნველყოფს ადმინისტრაციულად დაკავებული პირის საქართველოს საერთო სასამართლოებში წარდგენას;
- ზ) 18:00-09:00 საათებში უზრუნველყოფს ადმინისტრაციულად დაკავებული პირის სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში (შემდგომში - იზოლატორი) მოთავსებას, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარდგენის მიზნით იზოლატორიდან გაყვანას და სასამართლოს შენობაში მორიგე პატრულ-ინსპექტორთა ჯგუფისთვის გადაბარებას;
- თ) ადმინისტრაციულად დაკავებული პირის ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული პირის საქართველოს საერთო სასამართლოებში გამოცხადების შესახებ გაფრთხილებას, ასევე ხელწერილით გათავისუფლებული პირის შესახებ სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილი მოსამსახურისთვის ან/და მორიგე პატრულ-ინსპექტორთა ჯგუფისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

#### მუხლი 8. სამხრე ვიდეოკამერის ჩანაწერების ოპტიკურ მატარებელზე გადატანა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული მომსახურების უზრუნველყოფის განყოფილება დამკავებლის მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს სამხრე ვიდეოკამერაზე არსებული მონაცემების ოპტიკურ მატარებელზე (CD დისკი) გადატანას.

#### მუხლი 9. დაკავებული პირის მეთვალყურეობა საქართველოს საერთო სასამართლოებში

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში იქმნება მორიგე ჯგუფი/ჯგუფები ორი პატრულ-ინსპექტორის შემადგენლობით, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს საერთო სასამართლოებში წარდგენილი დაკავებული პირის მიერ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და მასზე მეთვალყურეობის განხორციელებას.